ინტერესის გამოხატვის მოთხოვნა
(საკონსულტაციო მომსახურება – კომპანიების შერჩევა)

საქართველო
რეგიონული განვითარების პროექტი - P126033
სესხი #8148-GE

სახელმწიფო და კერძო სექტორის ინვესტიციების (PPI) კომპონენტის ფარგლებში შერჩეული კომპანიების ობიექტებისთვის 4 ჭაბურღილის და 1 საკანალიზაციო გამწმენდი ნაგებობის მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების საკონსულტაციო მომსახურება

პროექტის საიდენტიფიკაციო ნომერი: IBRD/RDP/CS/CQS/10-2017

საქართველომ მიიღო დაფინანსება მსოფლიო ბანკისაგან რეგიონული განვითარების პროექტის (RDP) დასაფინანსებლად. აღნიშნული პროექტი ითვალისწინებს სახელმწიფო და კერძო სექტორის თანამშრომლობის კომპონენტს (PPI). კერძო ინვესტიციის წახალისების მიზნით, საქართველოს მთავრობა მსოფლიო ბანკთან ერთად ეხმარება კერძო მეწარმეებს განახორციელონ ინვესტიცია ტურიზმისა და აგრობიზნესის სექტორში. საქართველოს მთავრობის თანამონაწილეობა განისაზღვრება არა უშუალოდ ბიზნეს პროექტის დაფინანსებით, არამედ მათთვის მომიჯნავე მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მოწყობით.
სახელმწიფო და კერძო სექტორის ინვესტიციების (PPI) კომპონენტის ფარგლებში დონორთან შეთანხმებით განსაზღვრულია: წყალმომარაგების ჭაბურღილების მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება შემდეგი კომპანიებისათვის: გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კარდენახში ღვინის კომპანია შპს კარდანახი 1888 - სათვის, თელავის მუნიციპალიტეტის სოფლებში კონდოლში და ვარდისუბანში ღვინის კომპანია შპს ჯიველი-სათვის, თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ იყალთოში შპს ვილა იყალთო ჰორეკა სასტუმრო სავანეთი-სვის. ასევე საკანალიზაციო გამწმენდი ნაგებობის მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ იყალთოში შპს ვილა იყალთო ჰორეკა სასტუმრო სავანეთი-სვის.
წინამდებარე ტექნიკური დავალება მოიცავს საკონსულტაციო მომსახურებას ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის და დეტალური საინჟინრო პროექტის მოსამზადებლად აღნიშნული ქვე-პროექტებისათვის.

მომსახურების მიწოდების სავარაუდო ვადაა 2 თვე.

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი იწვევს უფლებამოსილ საკონსულტაციო ფირმებს (“კონსულტანტებს”), ინტერესის გამოსახატად ზემოხსენებულ მომსახურებაზე. დაინტერესებულმა კონსულტანტებმა უნდა წარმოადგინონ განაცხადი და ინფორმაცია იმის დასტურად, რომ ისინი კვალიფიცირებულნი არიან ზემოხსენებული მომსახურების დარგში. ინტერესის გამოხატვა უნდა მოიცავდეს, მაგრამ არ შემოიფარგლებოდეს ქვემოთმოყვანილით: ანალოგიური საპროექტო საქმიანობის გამოცდილება, ზოგადი გამოცდილება, წამყვანი სპეციალისტების რესურსები, კორპორატიული პროფილი.

მოკლე სიის შერჩევის კრიტერიუმებს წარმოადგენს:

1. <u>ზოგადი გამოცდილება - 20 ქულა:</u>

   კორპორატიული პროფილი/კომპანიის შესაძლებლობა, წლები ბიზნესში (ზოგადი გამოცდილება), წამყვანი სპეციალისტების რესურსები, ძირითადი ბიზნეს საქმიანობა;

2. <u>სპეციფიკური გამოცდილება - 80 ქულა:</u>

   კონსულტანტს 2013 წლის 1 იანვრიდან ინტერესის გამოხატვის წარდგენის ბოლო ვადამდე წარმატებით უნდა ჰქონდეს შესრულებული (დასრულებული) სულ მცირე 3 ჭაბურღილის მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების კონტრაქტი.

   შენიშვნა: აღნიშნულის დასადასტურებლად კონსულტანტმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ხელშეკრულებები და მიღება-ჩაბარების აქტები.

დაინტერესებული კონსულტანტების ყურადღება უნდა გამახვილდეს მსოფლიო ბანკის სახელმძღვანელო პრინციპების: კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება მსოფლიო ბანკის სესხის ამღებთა მიერ IBRD-ის სესხებისა და IDA-ს კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში (2011 წლის იანვრის გამოცემა, 2014 წლის ივლისის ცვლილებით) #1.9 პარაგრაფზე ("სახელმძღვანელო პრინციპები კოსნულტანტებისათვის"), სადაც მითითებულია მსოფლიო ბანკის პოლიტიკა ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებით.

კვალიფიკაციის გასაძლიერებლად კონსულტანტებს შეუძლიათ გაერთიანდნენ სხვა ფირმებთან (გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ მსოფლიო ბანკისათვის მისაღები გაერთიანების ფორმას წარმოადგენს ქვე-კონსულტანტის ან ერთობლივი საწარმოს ფორმა. განაცხადში ნათლად უნდა იყოს მითითებული გაერთიანების ტიპი. კონსულტანტის კორპორატიული გამოცდილების შეფასებისას გათვალისწინებული არ იქნება ქვე-კონსულტანტების გამოცდილება).
ანალოგიური პროექტების განხორციელების გამოცდილება წარმოდგენილი უნდა იყოს ფორმა N1-ის შესაბამისად, რომელიც ატვირთულია მგფ-ს ვებ-გვერდზე, შემდეგ ბმულზე:
http://mdf.org.ge/?site-lang=ka&site-path=documents/&year=2017&id=334

რეკომენდებულია ინტერესის გამოხატვის დოკუმენტაცია არ აღემატებოდეს 30 გვერდს. კომპანიის ბროშურები და ასევე გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია (ხელშეკრულებები და მიღება-ჩაბარების აქტები) შესაძლოა თანდართული იქნას დანართის სახით, და მასზე არ გავრცელდება 30-გვერდიანი ლიმიტი.
კონსულტანტი შეირჩევა კონსულტანტის კვალიფიკაციაზე დაფუძნებული (CQS) შერჩევის მეთოდით, კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება მსოფლიო ბანკის სესხის ამღებთა მიერ IBRD-ის სესხებისა და IDA-ს კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში (2011 წლის იანვრის გამოცემა, 2014 წლის ივლისის ცვლილებით) III განყოფილებაში მოცემული მეთოდის მიხედვით.
დაინტერესებულ კონსულტანტებს შეუძლიათ ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 09.00-დან 18.00 საათამდე მოიპოვონ დამატებითი ინფორმაცია მგფ-ს შესყიდვების სამსახურში, ტელეფონის ნომერი: +99532 2437001, შიდა ნომერი 405, ქ-ნი მარიამ ნაკაშიძე, შესყიდვების სპეციალისტი.

ინტერესის გამოხატვა უნდა წარმოადგინოთ ქართულად, წერილობით, ქვემოთმოყვანილ მისამართზე (პირადად, ელ-ფოსტის ან საკურიერო ფოსტის მეშვეობით) არაუგვიანეს 2017 წლის 8 მაისის 17:00 საათზე.

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
ბ-ნი გალაქტიონ ბუაძე, მგფ-ს აღმასრულებელი დირექტორი
მისამართი: აღმაშენებლის გამზირი 150, თბილისი 0112, საქართველო,
ტელ: +99532 2437001 ან 02/03/04
ელ. ფოსტა: Procurement@mdf.org.ge